

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რითაც მკაფიოდ განსაზღვრა დანაშაულის შეუტყობინებლობის სუბიექტთა წრე.

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად, პ. ს-ე, თავის ორ მეგობართან – ზუ. და ზა. კ-ძეებთან ერთად, მიკროავტობუსით მგზავრობდა თბილისის მიმართულებით. მათ შელაპარაკება მოუხდათ თ. და რ. კ-ოვებთან, რაც გადაიზარდა ჩხუბში. პ. ს-ე, ზა. და ზუ. კ-ძეები მათ უცენზურო სიტყვებით აყენებდნენ სიტყვიერ და ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას. წარმოქმნილი ხმაურის გამო, მძღოლი იძულებული გახდა გაეჩერებინა ავტომანქანა, რის შემდეგაც ისინი ჩამოვიდნენ ძირს და ჩხუბი გაგრძელდა ქუჩაში. მიკროავტობუსიდან ჩამოვიდნენ მოქალაქეებიც, რომლებიც ცდილობდნენ პ. ს-აძისა და მასთან ერთად მყოფი ზუ. და ზა. კ-ძეების დაწყნარებას, მოუწოდებლნენ, შეეწყვიტათ ჩხუბი და უცენზურო სიტყვების ხმარება. მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებდნენ თავიანთ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც გაგრძელდა 5-10 წუთის განმავლობაში. ჩხუბის დროს პ. ს-აძემ განიზრახა რ. და თ. კ-ოვების განზრახ მოკვლა და დანით ჯერ რ. კ-ოვს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები გულმკერდის არეში, რომელიც გარდაიცვალა, ხოლო შემდეგ თ. კ-ოვს მიაყენა მრავლობითი ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის არეში, რომელიც გადარჩა სიკვდილს. მიუხედავად იმისა, რომ ზა. და ზუ. კ-ძეებმა დაინახეს, თუ როგორ მიაყენა დანით სასიკვდილო ჭრილობები პ. ს-აძემ რ. კ-ოვს, იმ მოტივით, რომ შეეცოდათ პ. ს-ე და შეემინდათ, არ შექმნოდათ პრობლემები პოლიციასთან, დამალეს მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი და სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს მომხდარი დანაშაულის შესახებ.

საკასაციო პალატამ, ერთის მხრივ, გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილება ზა. და ზუ. კ-ძეების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით (ხულიგნობა) მსჯავრდების ნაწილში, მეორეს მხრივ, არასწორად მიიჩნია სასამართლოს მიერ მათი ქმედების სამართლებრივი შეფასება დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის მსჯავრდების ნაწილში.

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულებმა – ზა. და ზუ. კ-ძეებმა შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინეს ფაქტობრივად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზეც, რის გამოც, მათი ქმედების ამ მუხლით დაკალიფირება არასწორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულების – ზა. და ზუ. კ-ძეების მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით ბრალდების ნაწილში.